

შეტყობინება მეთორმეტე

ამაოებათა ამაოება, სინამდვილე იესოში
და ღმერთის ძეგბის გამოცხადება

ადგილები წერილიდან: ეკლ. 1:2-11, 14; 2:17, 22; 3:11; 12:28; ფსალ. 39:4-6;
ეფეს. 4:17-21, 24; 1 იოანე 5:20; რომ. 8:19-22

I. **ამაოებათა ამაოება; ყველაფერი ამაოებაა“ – ეკლ. 1:2ბ:**

- ა. ეკლ. 1:2-11-ში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ წიგნის თემა არის ამაოებათა ამაოება;
 - 1. ცენტრალური აზრი ეკლესიასტეს წიგნისა არის ამაოებათა ამაოება მზის ქვეშ ადამიანური ცხოვრებისა მის ღმერთისაგან მოშორებაში – მუხ. 2.
 - 2. ეკლესიასტეს წიგნის შინაარსი არის დაცემული კაცობრიობის ადამიანური ცხოვრების აღწერა მზის ქვეშ, ცხოვრება გახრწნილ ქვეყნიერებაში – ეფეს. 2:12.
 - 3. სოლომონის სწავლება ეკლესიასტეს წიგნში გვიჩვენებს, რომ ადამიანური ცხოვრება გახრწნილ ქვეყნიერებაში არის ამაოება, ქარის დენა – 1:14.
 - 4. ეკლესიასტეს წიგნის თანახმად, ადამიანური ისტორია თავისი დასაწყისიდან დღემდე, არის ამაოება – 12:8.
 - 5. რამდენად კარგი, აღმატებული, შესანიშნავი და საოცარიც არ უნდა იყოს ესა თუ ის რამ, თუ ის ეკუთვნის ძველ ქმნილებას, ის არის ნაწილი ამაოებათა ამაოებისა მზის ქვეშ – 1:9; 2:11, 17, 22.
 - 6. მხოლოდ ახალი ქმნილება, რომელიც არის ზეცაში, და არა „მზის ქვეშ“ (1:9), არის არა ამაოება, არამედ სინამდვილე – 2 კორ. 5:17; გალ. 6:15; ეფეს. 4:24.
- ბ. ფსალ. 39:4-6-ში დავითმა გაიგო არარაობა და ამაოება თავისი სიცოცხლისა:
 - 1. ამ ფსალმუნში ღმერთმა მიიყვანა დავითი იმის გაგებამდე, რომ ის იყო არაფერი და ამაოება; მან გაითავისა, რომ ნებისმიერი ადამიანი თავის საუკეთესო დროსაც კი არის მთლიანად ამაოება – მუხ. 5.
 - 2. როდესაც ჩვენ ვგებულობთ, რომ ჩვენი მდგომარეობა არის ცოდვიანი (ფსალ. 38) და რომ ჩვენი ვითარება არის ამაო, ეს აძლევს ქრისტეს შესაძლებლობას, რომ ჯვარს გვაცვას ჩვენ და შემოვიდეს ჩვენში, რათა ჩაგვანაცვლოს ჩვენ, იცხოვროს ჩვენი მეშვეობით და აღგვიპრას ჩვენ, რომ ვიცხოვროთ მასთან ერთად ორგანულ კავშირში, როგორც ამას გამოხატავდა პავლე გალატელთა 2:20-ში.
- გ. ადამიანი შექმნილი იყო ღმერთის მიერ უმაღლესი და უკეთილშობილესი მიზნით: მას უნდა გამოეხატა ღმერთი მის სახებაში მისი ღვთაებრივი სიცოცხლითა და ბუნებით – დაბ. 1:26:
 - 1. ღმერთის მტერი, სატანა, ეშმაკი, ჩაერია და შეიყვანა თავისი თავი როგორც ცოდვა ადამიანში, რომელიც შექმნილია ღმერთის მიერ თავისი ჩანაფიქრისათვის – 3:1-6; რომ. 5:18; 3:23; 1 იოანე 3:4.

2. ადამიანის ამ დაცემის გამო ადამიანი და ყველა ქმნილება, რომლებიც გადასცა მას ღმერთმა, რათა ადამიანს ებატონა მათზე, დაემორჩილნენ ამაოებას (8:20-21), ამიტომ ადამიანური ცხოვრება გახრწნილ ქვეყნიერებაში ასევე გახდა ამაოება.
 3. საშუალება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია თავი დავადწიოთ ამაოებას, – არის დაგუბრუნდეთ ღმერთს და მივიღოთ ღმერთი ქრისტეში როგორც გამოსყიდვა, სიცოცხლე, სიმდიდრე, ტკობა, სიამოვნება და დაკმაყოფილება, რათა ჩვენ მაინც შევძლოთ, რომ ვიყოთ გამოყენებული ღმერთის მიერ მისი თავდაპირველი ჩანაფიქრის აღსასრულებლად ადამიანის შექმნისას ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად – ეკლ. 12:13-14.
- დ. თუმცა ადამიანური სიცოცხლე გახრწნილ ქვეყნიერებაში არის ამაოება, ქარის დევნა, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთმა ჩადო მარადისობა ადამიანის გულში – 3:11:
1. „მარადისობა“ ეკლ. 3:11-ში არის „ჩადებული ღვთაებრივი ნებით გრძნობა საუკუნეების განმავლობაში განხორციელებული ჩანაფიქრისა, რომლის დაკმაყოფილებაც არ შეუძლია არაფერს მზის ქვეშ – გარდა ღმერთის“ („ბიბლიის გაშლილი თარგმანი“).
 2. ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის სახებად და წარმოქმნა მასში სული, რათა ადამიანს მიეღო და შეენახა ის და რომ მას ჰქონოდა გული, რომელიც ეძებს თვით ღმერთს, რომ ღმერთი იყოს დაკმაყოფილება ადამიანისათვის – დაბ. 1:26; 2:7; ზაქ. 12:1.
 3. თუმცა ადამიანი ჩამოშორდა ღმერთს და სატანის გამო გაჩნდა ცოდვა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, რომ მიიღოს ღმერთი თავისი დაკმაყოფილებისათვის, ადამიანის გულში ისევ რჩება მისწრაფება ღმერთისაკენ, სურვილი რომ ეძებოს ღმერთი – 3:11.
 4. არაფერს დროებით არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანი; მხოლოდ მარადიულ ღმერთს, ანუ ქრისტეს შეუძლია დააკმაყოფილოს ჩანაფიქრის ღრმა გრძნობა ადამიანის გულში – 2 კორ. 4:18.

II. ეფეს. 4:17-21 და 24-ში პავლე წარმოადგენს სინამდვილეს იესოში სვლისათვის, რომელიც აღარ ხდება გონების ამაოებაში:

- ა. ეფეს. 4:17-ში პავლე შეაგონებს მორწმუნეებს, რომ მათ აღარ იარონ, როგორც წარმართებმა თავიანთი გონების ამაოებაში“:
1. გონების ამაოება არის ძირითადი ელემენტი დაცემული კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
 2. წარმართები, ხალხები, არიან დაცემული ადამიანები, რომლებიც გახდნენ ამოები თავიანთ განსჯაში – რომ. 1:21:
 - ა) ისინი დადიან ღმერთის გარეშე თავიანთი გონების ამაოებაში, და მართულები და მიმართულები თავიანთი ამო აზრებით.
 - ბ) ღმერთის თვალში და მოციქული პავლეს თვალში ყველაფერი, რასაც ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ ადამიანები ქვეყნიერებაში, – არის არა რაღაც სხვა, არამედ ამაოება.

3. ხალხები, რომლებიც დადიან გონების ამაოებაში, დაბინდულნი არიან თავიანთ გაგებაში თავიანთი გულქვაობის გამო – ეფეს. 4:18:
 - ა) როდესაც დაცემული ადამიანების გონება ივსება ამაოებით, მათ მიერ ყველაფრის გაგება, რაც დაკავშირებულია ღმერთთან, იბინდება – ფსალ. 94:11.
 - ბ) დაცემული ადამიანის გულის გაქვავება არის დაბინდების სათავე მისი გონების გაგებასა და ამაოებაში – ეფეს. 4:17-18.
- ბ. ეფეს. 4:17-სა და 21-ში ნაჩვენებია კონტრასტი იესოში სინამდვილესა და დაცემული ადამიანური გონების ამაოებას შორის:
 1. დაცემული ადამიანის უღმერთო სვლაში არის მხოლოდ ამაოება, მაგრამ იესოს ღვთისმოსავ ცხოვრებაში არის სინამდვილე.
 2. სინამდვილე იესოში არის „სინამდვილე“ ახალი კაცის, რომელზეც საუბარია 24-ე მუხლში:
 - ა) ტყუილი (მუხ. 22) არის პერსონიფიცირება სატანის, ხოლო სინამდვილე (მუხ. 24) არის პერსონიფიცირება ღმერთის; ტყუილი არის ეშმაკი, ხოლო სინამდვილე არის ღმერთი.
 - ბ) ღმერთი, როგორც სინამდვილე იყო გამოვლენილი იესოს ცხოვრებაში – მუხ. 21.
 3. სინამდვილე იესოში არის ის, თუ როგორი იყო იესოს ცხოვრება, აღწერილი ოთხ სახარებაში:
 - ა) იესოს ადამიანური ცხოვრება შეესაბამებოდა სინამდვილეს, ანუ თვით ღმერთს – ეფეს. 4:24.
 - ბ) იესოს ცხოვრების არსი იყო სინამდვილე; ის ყოველთვის დადიოდა სინამდვილეში.
 - გ) ყველაფერი, რასაც უფალი აკეთებდა თავის ადამიანურ ცხოვრებაში, იყო ღმერთი გამოხატული და, შესაბამისად, სინამდვილე.
 4. იესოს ცხოვრება სინამდვილის თანახმად არის ნიმუში მორწმუნის ცხოვრებისათვის – 2 იოანე 1-2, 4; 3 იოანე 3-4:
 - ა) ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქრისტე და ვიყოთ განსწავლული მასში იმ საკითხში, თუ როგორ ვიცხოვროთ სინამდვილის ცხოვრებით – ეფეს. 4:20-21; 2 იოანე 1; იოანე 4:23-24.
 - ბ) როგორც ქრისტეს სხეულის ასოებმა, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სინამდვილის ცხოვრებით იმის თანახმად, თუ როგორია სინამდვილე იესოში, – სიცოცხლით, რომელიც გამოხატავს ღმერთს.
- ბ. ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ სინამდვილეში, რომელიც არის იესოში, რადგან „ჩვენ ვართ მასში, ვინც არის ჭეშმარიტი“ – 1 იოანე 5:20:
 1. გამოთქმა „ვინც არის ჭეშმარიტი“ აღნიშნავს ღმერთს, რომელიც ხდება სუბიექტური ჩვენთვის, ღმერთს ობიექტურს, რომელიც ხდება ჭეშმარიტი ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს განცდაში.

2. ვიყოთ მასში, ვინც არის ჭეშმარიტი, – ჭეშმარიტში – ნიშნავს, ვიყოთ მის ძეში იესო ქრისტეში, რადგან უფალი იესო, ღმერთის ძე, არის ჭეშმარიტი ღმერთი – მუხ. 20.
3. ჭეშმარიტი არის ღვთაებრივი სინამდვილე; ვიცოდეთ ჭეშმარიტი – ნიშნავს ვიცოდეთ ღვთაებრივი ჭეშმარიტება, განვიცადოთ ეს სინამდვილე, დავტკბეთ მისით და დავეუფლოთ მას.

III. ვინაიდან ქმნილება დაემორჩილა ამაოებას, ქმნილება ელოდება ღმერთის ძეების გამოცხადებას „იმედში, რომ თვით ქმნილებაც იქნება განთავისუფლებული ხრწნის მონობისაგან ღმერთის შვილების დიდების თავისუფლებაში“ – რომ. 8:19-22:

- ა. იმის შედეგად, რომ სატანამ შეიყვანა თავისი თავი როგორც ცოდვა ადამიანში, ადამიანი და ყველა ქმნილება აღმოჩნდა ხრწნილების მონობაში და დაემორჩილნენ ამაოებას – 5:12; 8:20:
 1. ვინაიდან ქმნილება დაემორჩილა ამაოებას და ხრწნილების მონობას, ყველაფერი მზის ქვეშ არის ამაოება – ეკლ. 1:2; 12:8.
 2. დღევანდელ დღეს ქმნილება დამონებულია კანონით ღვთისა და ხრწნილებას; მისი ერთადერთი იმედი არის ის, რომ განთავისუფლდეს ხრწნილების მონობისაგან ღმერთის შვილების დიდების თავისუფლებაში, როდესაც გამოჩნდებიან ღმერთის ძეები – რომ. 8:20-21.
- ბ. მოუთმენლად ყურება – ყურება სრული ყურადღებით – ქმნილებისა „ელოდება ღმერთის ძეების გამოცხადებას“ – მუხ. 19:
 1. გამოცხადება არის გახსნა ანუ გამოვლინება რაღაცის, რაც ადრე იყო საბურველის ქვეშ ან იყო დაფარული – ეფეს. 1:17; 3:5; გალ. 1:15-16; გამოცხ. 1:1.
 2. უფლის მეორედ მოსვლისას, როდესაც ჩვენ ვიქნებით განდიდებულნი და ჩვენი სხეულები იქნება მთლიანად გამოსყიდული, საბურველი მოგვეხსნება – რომ. 8:18.
 3. ქმნილება, რომელიც „ერთად კენესის და იტანჯება მშობიარობით აქამდე“ (მუხ. 22), ელოდება ღმერთის ძეების გამოცხადებას (მუხ. 19).
 4. ეს გამოცხადება იქნება დასრულება იმ განსაზღვრის პროცესისა, რომელსაც ჩვენ ახლა გავდივარ – შდრ. 1:4, შენ 1.
- გ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელ ქმნილება არის ამაოებისა და ხრწნილების მდგომარეობაში, ღმერთი მოიტანს თავის სამეფოს, რათა ბოლო მოუღოს დღევანდელ მდგომარეობას – გამოცხ. 11:15:
 1. მომავალი სამეფო იქნება ღმერთის დიდების სამეფო, სამეფო, რომელიც შედგება ძირითადად ღმერთის გახსნილი ძეებისაგან – მათე 6:10, 13; რომ. 8:19.
 2. ღმერთის დიდება მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მეფობასთან და გამოიხატება მისი სამეფოს სფეროში – მათე 6:10, 13ბ; ფსალ. 145:11-13.
 3. ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ, შევსულიყავით მის სამეფოსა და დიდებაში – 1 თეს. 2:12:

- ა) ღმერთის სამეფო არის სფერო, სადაც ჩვენ შეგვიძლია თაყვანი ვცეთ ღმერთს და დავტკბეთ ღმერთით მისი ღვთაებრივი მმართველობის ქვეშ იმისათვის, რომ ერთხელაც შევიდეთ ღმერთის დიდებაში – მათე 6:13ბ.
 - ბ) სამეფო არის სფერო, რომელშიც ღმერთი ავლენს თავის ძალას, რათა გამოხატოს თავისი დიდება – გამოცხ. 5:10, 13.
 - გ) სამეფოს ბრწყინვალება განკუთვნილია მამის განდიდებისათვის – მათეს 5:16.
4. ღმერთის სამეფო არის ღმერთის გამოვლინება მის დიდებაში მის ძალაუფლებასთან ერთად მისი ღვთაებრივი მმართველობისათვის, ამიტომ სამეფოში შესვლა და ღმერთის გამოხატულ დიდებაში შესვლა ხდება ერთდროულად როგორც ერთი მოვლენა – ებრ. 2:10; მათე 5:20; 1 თეს. 2:12; 2 თეს. 1:10; გამოცხ. 21:9-11; 22:1, 5.
5. ქმნილება ელოდება ღმერთის სამეფოს მოსვლას და მოუსვენრად აკვირდება იმ მიზნით, რომ დაინახოს ის; სამეფოს გამოცხადების დროს მთელი ქმნილება მიიღებს განთავისუფლებას და ღმერთის გამოვლენილი ძეგბი თავს დაადწვევენ ამაოებას და „გაბრწყინდებიან როგორც მზე, თავიანთი მამის სამეფოში“ – მათე 13:43.